პროექტი

საქართველოს კანონი
"სააღსრულებო წარმოების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე"

მუხლი 1. "სააღსრულებო წარმოების შესახებ" საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N 13(20), 1999 წელი) შევიდეს ცვლილება და მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

"მუხლი 2. აღსრულების ქვემდებარე აქტები
ამ კანონით დადგენილი წესით აღსრულებას ექვემდებარება უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) ადმინისტრაციული აქტი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე, დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების მიერ მიღებული ადმინისტრაციული აქტი სანქციის სახით ჯარიმის დაკისრების შესახებ და შემდეგი სასამართლო აქტები (შემდგომში – გადაწყვეტილება):
ა) კერძო სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, განჩინება და დადგენილება;
ბ) სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი, განჩინება და დადგენილება ქონებრივი გადახდევინების ნაწილში;
გ) სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი პირისათვის სასჯელის სახით ჯარიმის დაკისრების შესახებ;
დ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო დადგენილება ქონებრივი გადახდევინების ნაწილში და ადმინისტრაციული სახდელის სახით ჯარიმის დაკისრების შესახებ;
ე) გადახდის ბრძანება და ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე ბრძანება;
ვ) კერძო არბიტრაჟის გადაწყვეტილება;
ზ) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლით გათვალისწინებული სასამართლოს მიერ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცეული გადაწყვეტილება;
თ) იმ არბიტრაჟის გადაწყვეტილება, რომლის აღსრულებაც გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით;
ი) სხვა სახელმწიფოს სასამართლოს, აგრეთვე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ის გადაწყვეტილებები, რომელთა აღსრულებაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.
კ) ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებიც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად სავალდებულოა საქართველოსთვის."

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი**